

ლადო ვარდოსანიძე
საქართველოს ურბანისტთა ასოციაცია
2006 წლის 22 მარტი

პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა

თემა: “საზოგადოებრივი სივრცის პრივატიზება – გადაუღებელი
აუცილებლობა თუ ნაჩქარევი ნაბიჯი?”

დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, მიწის პრივატიზების საკითხი საქართველოში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცა. ანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე არ ჩამოყალიბებულა ურბანულ მიწაზე მუნიციპალური საკუთრების ფორმა. მეტიც, კანონმდებლობის მიერ ნებით თუ უნებლიედ დადგენილი სამართლებრივი ნორმები უშეგებს ისეთი საზოგადოებრივი სივრცეების პრივატიზებას, რომგორიცაა ბაღები, პარკები, სანაპიროები და ა.შ., რაც ეწინააღმდეგება ქალაქგანვითარების იმანენტურ ტენდენციებსა და მსოფლიო პრაქტიკას. ურბანული მიწების პრივატიზება თბილისში სკანდალური ხასიათი მიიღო. შაზოგადოების აღშფოთებას იწვევს მტკვირს სანაპიროს და თვით მდინარის კალაპოტში პრივატიზებული მიწის ნაკვეთებზე ობიექტების მშენებლობა, თბილისის მოედნების (“ვარდების რევოლუციის”, “26 მაისის”) პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისება; ტროტუარების, ბაღ-პარკების გაყიდვა და სხვა ამგვარი.

მაგრამ, თბილისის ცენტრში არსებობს ჯერ ჯერობით სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორია, რომლის პრივატიზება განსაკუთრებულ, შეუქცევად ზიანს მიაყენებს დედაქალაქის ურბანულ განვითარებას. ეს არის რიჯის უბანი, რომელიც წყალდიდობის შედეგად დაცარიელდა და ელის თავისი მომავლის გადაწყვეტას. წარმოდგენილი პრეზენტაცია სწორედ ამ პრობლემას აღწერს – ისტორიული, სამართლებრივი, პროცედურული თვალსაზრისით. ავტორი იძლევა რიჯის ტერიტორიის ქალაქგანვითარების სამოქმედო გეგმის რეკომენდაციას, რომლის რეალიზაციაში პროფესიონალი არქიტექტორთა, ურბანისტთა, ურბან-მენეჯერთა, PR-ექსპერტთა გარდა, მონაწილეობას უნდა ღებულობდეს თბილისის საზოგადოება (community). ეს ამგვარი მიდგომის პირველი მსხვილმასშტაბური მაგალითი იქნებოდა საქართველოში.